ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს **2023 წლის 27 იანვრის** სხდომის ოქმი # 1

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 32 წევრიდან - 20.
დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ცვლილების შესახებ
   მომხს: ს.დუნდუა

2. პროფესორ იოსებ სალუქვაძის განცხადების განხილვა მის მიერ გამოქვეყნებული სტატიისთვის Multiple transformations, coordination and public goods. Tbilisi and the search for planning as collective strategy", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ European Planning Studies (გამომცემლობა Routledge, Taylor & Francis Group, 2021 წლის CiteScore (Scopus) – 5.8, 2021 წლის Impact factor – 3.777 რექტორის N: 12/04 ბრძანებით (19/05/2021) განსაზღვრული ჯილდოს გამოყოფის თაობაზე.
   მომხს: ს.დუნდუა

3. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის დამტკიცება.
   მომხს: ს.დუნდუა

4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშების წარდგენა
   მომხს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რ. ჯორბენაძე

მოისმინეს: 1. ს.დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის წერილი სოციალური მუშაობის ასოცირებული პროფესორის, თამარ მახარაძის განცხადების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წევრობიდან განთავისუფლებისა და მისი სოციალური მუსაობის პროგრამის ასოცირებული პროფესორის, ნათელა ფარცხალაძით ჩანაცვლების შესახებ (თან ერთვის ოქმს).

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ.მახარაძემ, მ.შამილიშვილმა.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების სოციალური მუშაობის პროგრამის ასოცირებული პროფესორი, თ. მახარაძე ჩანაცვლდეს სოციალური მუშაობის პროგრამის ასოცირებული პროფესორის, ნ. ფარცხალაძის კანდიდატურით.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ დამსწრეთ გააცნო პროფესორ იოსებ სალუქვაძის განცხადება სტატიისთვის (Multiple transformations, coordination and public goods. Tbilisi and the search for planning as collective strategy) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საუნივერსიტეტო წესის განსაზღვრის შესახებ რექტორის N: 12/04 ბრძანების (19/05/2021) საფუძველზე განსაზღვრული ჯილდოს გამოყოფის შესახებ (განცხადება და დატვირთვის ამსახველი დოკუმენტაცია თან ერთვის ოქმს).

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, მ. მაცაბერიძემ.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობს პროფესორ იოსებ სალუქვაძეს რექტორის #12/04, 19/05/2021 ბრძანებით გათვალისწინებულ ფინანსურ ჯილდოზე წარსადგენად.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯომარედ რეგულაციების მიხედვით განისაზღვრება ფაკულტეტის დეკანი. შესაბამისად, ს, დუნდუამ, როგორც ფაკულტეტის დეკანმა, მიმართა საბჭოს წევრებს ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯომარედ მისი კანდიდატურის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, ვ. ლორთქიფანიძემ.

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ს. დუნდუა

მოისმინეს: 4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს გააცნო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშები:

4.1.სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“ პროგრამაში ახალი სასწავლო კურსების დამატება.

ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამიდან არჩევითი კურსის სახით დაემატა ,,კულტურა და რელიგია კავკასიაში'' რომელსაც უძღვება ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე;

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამას არჩევითი კურსის სახით დაემატა ,,რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა'' რომელსაც უძღვება პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე;

4.2. სასწავლო კურსების სახელწოდებების ცვლილება.

სავალდებულო კურსს ,,ევროპის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა'', შეეცვალა სახელწოდება შემდეგნაირად: ,,ევროკავშირის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა''.

არჩევითი კურსს „შედარებითი პოლიტიკა: ავტორიტარიზმიდან დემოკრატიებამდე" შეეცვალა სახელწოდება ,,შედარებითი პოლიტიკა: რეჟიმების ტიპოლოგიების შედარებითი ანალიზი''.

4.3. სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების რეფორმულირება.

პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში ფორმულირდა სწავლის შედეგები:

1. სამაგისტრო ნაშრომი;
2. კვლევის დიზაინი;
3. გლობალური პოლიტიკა;
4. საერთაშორისო ეკონომიკა;
5. ცენტრალური აზიის პოლიტიკა;
6. რუსეთის საგარეო პოლიტიკა.

4.4. სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის განახლება.

ცვლილების აღწერა: სავალდებულო ლიტერატურა განახლდა შემდეგ სასწავლო კურსებში: ევროკავშირის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა;

4.5. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმების განახლება.

ცვლილების აღწერა: შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწერა შეფასების კომპონენტები:

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია;

რუსეთის საგარეო პოლიტიკა.

4.6. სალექციო თემატიკის განახლება.

ცვლილების აღწერა: სალექციო თემატიკა განახლდა შემდეგ სასწავლო კურსებში:

განვითარების ეკონომიკა;

მდგრადი განვითარება.

5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციოლოგია" სასწავლო კურსების სილაბუსებში ლიტერატურის განახლება.

დამატებითი ლიტერატურა განახლდა შემდეგ სასწავლო კურსებში:

1. სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები;
2. სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები;
3. თანამედროვე სოციალური თეორიები 1;
4. თანამედროვე სოციალური თეორიები 2;
5. პოსტმოდერნული სოციალური თეორიები.

5.1. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმების განახლება;
შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწერა შეფასების კომპონენტები: დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური სტრუქტურა შედარებით პერსპექტივაში.

5.2.სალექციო თემატიკის განახლება.
ცვლილების აღწერა: სალექციო თემატიკა განახლდა შემდეგ სასწავლო კურსში: თანამედროვე სოციალური თეორიები 2.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ; ვ. ლორთქიფანიძემ, მ. წერეთელმა. ხ.მაისაშვილმა. ს.დუნდუამ. მ.მაცაბერიძემ. ნ. დურგლიშვილმა, თ. მახარაძემ, ს. კუხიანიძემ, ზ.დავითაშვილმა

დაადგინეს: თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცებლად განიხილოს აღნიშნული საკითხები.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ... ს.დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

27/01/2023

სალომე დუნდუა

ალექსანდრე კუხიანიძე

მალხაზ მაცაბერიძე

ზვიად აბაშიძე

ვალერიან მელიქიძე

ნინო პავლიაშვილი

გიორგი გოგსაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

თამარ დოლბაია

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

თამარ მახარაძე

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანა ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

შოთა ქარქაშაძე

ნინო პაქსაშვილი

ცირა თოფურია

კახი კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

რატი ხითარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს

სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის პროგრამის ხელმძღვანელის

ამირან ბერძენიშვილის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ქალბატონო სალომე,

მოგახსენებთ, რომ

მიმდინარე წლის 12 იანვარს ჩატარდა მიმართულების სხომა (ოქმი თან ერთვის) სადაც, მიმდინარე საკითხებთან ერთად განხილულ იქნა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოში წევრის ჩანაცვლების საკითხი.

ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატად დასახელდა ასოცირებული პროფესორი, ნათია ფარცხალაძე, რომელიც ჩაანაცვლებს - ასოცირებულ პროფესორ თამარ მახარაძეს.

მოგმართავთ თხოვნით, ნ. ფარცხალაძის კანდიდატურა წარუდგინოთ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

ა.ბერძენიშვილი

ქალბატონ სალომე დუნდუას

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორს

ამავე ფაკულტეტის პროფესორის

იოსებ სალუქვაძის

განცხადება

ქალბატონო სალომე,

გთხოვთ, ფაკულტეტის სახელით, მსვლელობა მისცეთ თანდართულ წერილს რექტორის სახელზე.

პატივისცემით,

იოსებ სალუქვაძე, პროფესორი

თბილისი, 18/01/2023

910/30 3
20 01 2022

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ ჯაბა სამუშიას

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პროფესორის,
იოსებ სალუქვაძის

განცხადება

ბატონო ჯაბა,

მოგახსენებთ, რომ 2022 წელს ჩემი სტატია "Multiple transformations, coordination and public goods. Tbilisi and the search for planning as collective strategy" (თანაავტორი: კრისტოფ ვან აშე, ალბერტას უნივერსიტეტი, კანადა) დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალში *European Planning Studies* (გამომცემლობა Routledge, Taylor & Francis Group, 2021 წლის CiteScore (Scopus) – 5.8, 2021 წლის Impact factor – 3.777; იხ. https://www.tandfonline.com/action/journalInformation?show=journalMetrics&journalCode=ceps20). სტატიის სრული ციტირება Google Scholar-ის მიხედვით: Salukvadze, J., & Van Assche, K. (2022). Multiple transformations, coordination and public goods. Tbilisi and the search for planning as collective strategy. *European Planning Studies*, 1-19.

გთხოვთ, აღნიშნული სტატიისთვის გამომიყოთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საუნივერსიტეტო წესის განსაზღვრის შესახებ რექტორის N: 12/04 ბრძანების (19/05/2021) საფუძველზე განსაზღვრული ჯილდო.

აღნიშნული სტატიის აბსტრაქტი ხელმისაწვდომია ჟურნალის გვერდზე:
https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09654313.2022.2065878.
(გამოქვეყნებული სტატიის პირველ გვერდს თან ვურთავ).

პატივისცემით,
იოსებ სალუქვაძე
18.01.2023

EUROPEAN PLANNING STUDIES
https://doi.org/10.1080/09654313.2022.2065878

Routledge
Taylor & Francis Group

Check for updates

Multiple transformations, coordination and public goods. Tbilisi and the search for planning as collective strategy

Joseph Salukvadze[a] and Kristof Van Assche [b,c]

[a]Department of Geography, Ivane Javakhisvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia; [b]Department of Earth & Atmospheric Science, Faculty of Science, University of Alberta, Edmonton, Canada; [c]ZEF/Center for Development Research, Bonn University, Bonn, Germany

ABSTRACT
Tbilisi has undergone spectacular changes which can be grasped by the concept of 'Multiple Transformations', characteristic of post-socialist cities. Along with the reform of legislative, institutional and social frameworks, an urban or spatial transformation took place. We distinguish different phases of Tbilisi's urban transformation, discuss the reasons and analyze the outcomes of the transitional process. We argue that the multiple transformations which occurred since the 90's jeopardized many collective goods essential to the quality of urban life, while that same multiplicity destroyed mechanisms of coordination in governance, mechanisms which would have been helpful in defining a new form of urban governance and urban planning. Transition thus created a need for collective strategy while rendering the formation and implementation of such strategy hard. The multiple transitions concept proved helpful not only in analyzing a particular instance of urban change but also in linking that change to contextualized options for future strategy. In the case of Tbilisi, the analysis highlighted the time needed to rebuild institutions, clarify false oppositions, find value in combining planning and market principles, and in the basic idea of coordinated action towards collective goals.

ARTICLE HISTORY
Received 3 September 2021
Revised 4 April 2022
Accepted 5 April 2022

KEYWORDS
Urban transformation; land-use planning; Tbilisi; post-Soviet transition; strategy

Introduction

After the collapse of the Soviet Union, Tbilisi, like many other 'Socialist Cities' started a long and winding path of transition. In this paper, we unfold the complex process of dramatic urban transformation of the capital of Georgia, Tbilisi, over the last three decades. We distinguish and illustrate different phases in the process, identifying reasons for and forces behind these phases, and analyse the outcomes. Our analysis is meant as an updated interpretation of changing Tbilisi, but, more than that, as an application of the concept of 'Multiple Transformations', proposed by Sýkora and Bouzarovski (2012) to the case of the Georgian capital, to demonstrate its potential to produce more contextualized understandings of urban transition. We demonstrate how such understanding has the double advantage of linking historical analyses more easily to

CONTACT Kristof Van Assche vanassch@ualberta.ca Department of Earth & Atmospheric Science, Faculty of Science, University of Alberta, 1-26 Earth Sciences Building, Edmonton, Alberta, T6G 2E3 Canada
© 2022 Informa UK Limited, trading as Taylor & Francis Group

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანს, ქ-ნ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის

სანდრო ტაბატაძის

მ ო ხ ს ე ნ ებ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქ-ნ სალომე, მოგახსენებთ, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, იოსებ სალუქვაძის თანაავტორობით 2022 წელს გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია (Multiple transformations, coordination and public goods. Tbilisi and the search for planning as collective strategy) იმპაქტ-ფაქტორის მქონე (3.777) სამეცნიერო ჟურნალში „European Planning Studies". ამასთან, გაცნობებთ, რომ იოსებ სალუქვაძემ შეასრულა 2022 წლის მინიმალური სამეცნიერო-კვლევითი სტანდარტით გათვალისწინებული 130 ქულა.

იხილეთ სტატიის ბმული:

https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/09654313.2022.2065878?scroll=top&needAccess=true&role=tab

პატივისცემით,

სანდრო ტაბატაძე